№ 83 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. პარასკევი, 16 აპრილს 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ზელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 ინტ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

შაბათს, აპრილს 17-ს, ოპერა მუშებისთვის და კურბატოვის ბენეფისი „ტოსკა“. სამშაბათს, აპრილის 20-ს, რისის ბენეფისი. და მეხუთე გასტროლი Michel Darial ნანობაშვილის „აფრიკელი ქალი“. ოთხშაბათს, აპრილის 21-ს, ზოროს ბენეფისი სტაროსტინას მონაწილეობით „ლაკმე“. შაბათს, აპრილის 24-ს, ოპერა მუშებისთვის „სნეგურაჩკა“. სამშაბათს, აპრილის 27-ს, ფალიაშვილის ბენეფისი „აბესალომ და ეთერი“. ხუთშაბათს, აპრილის 29-ს, ალეშკოს ბენეფისი „ზაზა“. პარასკევს, აპრილის 30-ს, ორკესტრის ბენეფისი სტაროსტინას მონაწილეობით I. „რიგოლეტო“. II. „ქორწილი მოლოროსიაში“. შაბათს, მაისის 1-ს, ოპერა მუშებისთვის და საოპერო სეზონის დახურვა „ჰოფმანის ზღაპრები“.

ოფიციალური განყოფილება

დ ე კ რ ე ტ ი

სამხედრო სასამართლოს და პროკურორის ზედამხედველობის დროებითი შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

1. 1819 წლის აგვისტოს ორის დეკრეტით დაარსებული სამხედრო სასამართლოს და პროკურორის ზედამხედველობის დროებითი შტატის ნაცვლად (კან. და მთავარ. განკარ. კრ. 1919 წლ. № 15 დეკრეტი 166) დამტკიცებულ იქნეს 1919 წლის ნოემბრის 1-დან ამასთანავე დართული სამხედრო სასამართლოს და პროკურორის ზედამხედველობის დროებითი შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში 1919 წლის ნოემბრის 1-დან 1920 წლის ივნისის 1-დე ერთი მილიონი ოთხმოცდა შვიდი ათას ორას სამოცდა ხუთმეტი (1,087,275) მან.

3. ამ დეკრეტით დამტკიცებულ დროებით შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირზე.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მარტის 30.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი
ექვ. თაყაიშვილი.
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

დროებითი შტატი და ხარჯთაღრიცხვა სამხედრო სასამართლოსი 1919 წლის ნოემბრის 1-დან 1920 წლის ივნისის 1-დე.

№№ რიგზე.	თანამდებობა და ხარჯის სახელწოდება.	თანამ. პირ. რიცხ.	თვიურად თითეულს	ყველას თვიურად	ყველას 1919 წლ. ნოემბრის 1-ან 1920 წ. ივნისის 1-მდე.
	I.				
	სამხედრო სასამართლოს პირადი შემადგენლობა.				
1	სასამართლოს თავმჯდომარე	1	3500	3500	38500
2	სამხედრო მსაჯული	3	4600	13800	96600
3	საგანგებო საქმეთა გამომძიებელი	1	4600	4600	32200
4	სამხედრო გამომძიებელი	4	4000	16000	112000
5	სასამართლოს მდივანი	1	3000	3000	21000
6	მდივნის თანაშემწე	3	2200	6600	46200
7	ხაზინადარი (იგივე შენობის ზედამხედველი)	1	3000	3000	21000
8	თარჯიმანი (იგივე არქივარიუსი)	1	2000	2000	14000
9	მანქანით გადამწერი	8*)	1300	10400	72800
10	დარაჯი	2	1220	2450	17150
11	მეჯინიბე	1	1220	1225	8575
12	საკანცელარიო ხარჯი	—	—	12500**)	87500
13	სამეურნეო ხარჯი (შენობის შენახვა, შეკეთება, განათება, გათბობა და ერთი ცხენის შენახვა)	—	—	15000	105000
14	საგზაო და დღიური ხარჯი	—	—	8500***)	59500
15	მოწმეთა, ექსპერტთა და სამღვდელო პირთა გასამრჯელო	—	—	2000	14000
16	მოხელეთა დახმარებისათვის სხვა და სხვა შემთხვევის დროს	—	—	5000	35000
	ჯამი	26	32650	111575	871025
	II.				
	საპროკურორო ნაწილის პირადი შემადგენლობა.				
17	პროკურორი	1	5000	5000	35000
18	მისი თანაშემწე	2	4400	8800	61600
19	კანდიდატი	3	2500	7500	52500
20	პროკურორის მდივანი	1	3000	3000	21000
21	მდივნის თანაშემწე	1	2200	2000	15400
22	მანქანით გადამწერი	6	1300	7800	54600
23	დაბალი მოსამსახურე	2	1225	2450	17150
24	საკანცელარიო ხარჯი	—	—	4000	28000
25	საკანცელარიო და დღიური	—	—	3000	21000
	ჯამი	16	19625	43750	306250
	სულ	42	52275	155325	1087275

შენიშვნა: *) ამ რიცხვიდან 3 სასამართლოს და 5 გამომძიებელი.
**) აქედან 2.500 მან. გამომძიებელთ თვიურად.
***) აქედან 2.500 მან. გამომძიებელთ თვიურად.

1920 წ. მარტის 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექვ. თაყაიშვილი.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

დ ე კ რ ე ტ ი

საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეის დაარსებისა.

1. დაარსდეს ქალ. ტფილისში ამა 1920 წლის თებერვლის 1-დან საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა თანახმად ამ დეკრეტთან დართული დებულებისა, დროებითი შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვისა.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან განათლების მინისტრის განკარგულებაში ამა 1920 წლის თებერვლის 1-დან ივნისის 1-დე ორმოცდა ხამი ათას შვიდას ოთხმოცი (43,780) მან.

3. ამ დეკრეტში აღნიშნულ შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელ კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მარტის 30.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
ამხანაგი ექვ. თაყაიშვილი.
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

დროებითი შტატი და ხარჯთაღრიცხვა საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეისა 1920 წლის თებერვლის 1-დან ივნისის 1-დე.

№№ რიგზე.	თანამდებობა.	თანამდებობის პირთა რიცხვი.	თვითეულს თვიურად.	ყველას თვიურად.	ყველას წლიურად.	ყველას 1920 წ. თებერვლის 1-დან ივნისის 1-დე.
1	დირექტორი	1	4000	4000	48000	16000
2	მდივანი იგივე მოლარე	1	3000	3000	36000	12000
3	დარაჯი	1	1225	1225	14700	4890
4	მეეზოვე	1	1225	1225	14700	4890
	სულ	4	9450	9450	113400	37780
	საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი	—	1500	—	18000	6000
	ჯამი	—	—	—	131400	43780

1920 წ. მარტის 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავჯდომარის ამხ. ექვ. თაყაიშვილი.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

დ ე ბ ე ლ ე ბ ა

საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეისათვის.

1. ქ. ტფილისში არსდება ეროვნული სამხატვრო გალერეა.

2. სამხატვრო გალერეის მიზანს შეადგენს: შეგროვება და დაცვა მხატვრობისა და ქანდაკების ნაწარმოებთა, უმთავრესად ქართველისა და საქართველოს მოსაზღვრე ხალხთა ხელოვნებისა, როგორც ძველისა ისე ახლისა.

3. გალერეიასთან არსებობს წიგნთ-საცავი, სადაც გროვდება ხელოვნებათა შესახები თხზულებანი, აგრეთვე ნახატებისა, გრავიურებისა, რეპროდუქციების კოლექციები და სამხატვრო ჟურნალები.

4. სამხატვრო გალერეა ექვემდებარება განათლების მინისტრს.

5. სამხატვრო გალერეას განაგებს საბჭო გალერეის დირექტორის თავმჯდომარეობით გალერეის მართვა-გამგეობისა და სარგებლობისათვის განსაკუთრებული წესდების თანახმად.

6. გალერეის დირექტორს და სხვა თანამდებობის პირთ დირექტორის მიერ წარდგენით დანიშნავს განათლების მინისტრი.

7. დირექტორი გალერეის უახლოესი გამგეა, რომელსაც დაეკისრება: 1 საადმინისტრაციო და სამეურნეო-საოჯახო საქმეთა გაძღვანება და შათი მოსამსახურე პირთა შორის განაწილება; 2. ვარეშე დაწესებულებათა და პირებთან ურთიერთობა; 3. გალერეის ერთ-ერთი ნაწილის გამგებლობა თავის სპეციალობის ძალით.

3. გალერეის საშუალებას შეადგენს: ა. სახელმწიფო ხაზინიდან სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადადებული განსაზღვრული თანხა და ბ. სპეციალი თანხა. მუზეუმში შესასვლელი გადასახადი, შემოწირულებანი, კოლექციათა დუბლიკატების გაყიდვით აღებული შემოსავალი.

9. გალერეის სპეციალი თანხა საზოგადო წესით სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვის მიღების შემდგომ დაიხარჯება.

10. გალერეას აქვს სახელმწიფო ღერბიანი საკუთარი ბეჭედი ღერბის ირგვლივ შემდეგის წარწერით: „საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა“.

1920 წ. მარტის 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი
ექვ. თაყაიშვილი.
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგან საქმ. სამინისტროში

ცნობილი ბალშევიკის დაპატიმრება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცნობა მიიღო ქუთაისის მილიციის უფროსისაგან, რომ იქ დაუპატიმრებიათ ციხეში მოუთავსებიათ ცნობილი ბალშევიკი თენგიზა ჟღენტი, რომელსაც განზრახვა ჰქონია ქუთაისში მოეწყო აქტიური სამუშაო. დაჭერის დროს მას აღმოაჩნდა ყალბი საბუთები.

საქართველოს მილიციის მოხელენი აზერბეიჯანში.

ამას წინად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაგზავნილ იქმნა აზერბეიჯანში მილიციის მოხელენი ზუგდიდის ციხიდან გაქცეული ტუსაღის მაჭაკარიას შესაპყრობათ, რომელმაც თავი შეაფარა აზერბეიჯანს. მათ მიერ უკვე შეპყრობილ იქმნა აღნიშნული პირი და აგრეთვე ავაზაკი გვალია, რომელმაც ფოთიდან გაიტაცა ფულები და აზერბეიჯანში გაიქცა. მილიციის მოხელეთა მოქმედების შესახებ დეპეშით შემდეგს იუწყება საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბეიჯანში ბ-ნი ალშიბაია:

„მაჭაკარია დაჭერილია და გამოგზავნილი 9 ამ თვეს. თქვენმა სამინისტროს აგენტებმა გამოიჩინეს განსაკუთრებული წინდახედულობა და საქმიანობა დანაკისრ მოვალეობის ასრულებაში, რაზედაც ვალდებულათ ვრაცხ ჩემს თავს მოგახსენოთ“.

ყაჩაღის შეპყრობა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცნობა მიიღო დუშეთის მაზრის მილიციის უფროსისაგან, რომ მაზრის მილიციას შეუპყრია და მოუთავსებია სამაზრო ციხეში ცნობილი ყაჩაღი აბრამა აბაშვილი—მატარებლების დამსხვრევაში და სხვა მკვლელობებში მონაწილეობის მიმღები. დანარჩენ ყაჩაღთა წინააღმდეგ სწარმოებს სასტიკი დევნა. ამასთანავე 9 აპრილს ნაშუადღევის 3 საათზე ბაგის ჭალის პოსტის მილიციონერებმა უფროს მილიციონერ ძებისაშვილის მეთაურობით შეიპყრეს ცნობილი ყაჩაღი ლევან ქავთაროვი.

ბათუმს გვიგრუნავენ

იტალიელ გაზეთის «Corriere della sera»-ში 27 მარტის ნომერში მრთავსებულია შემდეგი ცნობა ლონდონიდან: „**ბათუმი საქართველოსთვის**“! მინისტრთა საბჭო ძველ შეხედულებას ადგა ბათუმისა და მის ოლქის შესახებ. ომის წინ ბათუმი შეადგენდა რუსეთის იმპერიის ნაწილს. მისი ბედის გადაწყვეტა იყო ფრიად სერიოზული საქმე, რადგან იგი გახდა ოსმალეთის ტერიტორიად. პირველად განზრახული იყო იგი დარჩენოდა საქართველოს, მაგრამ შემდეგში გაიმარჯვა პროექტმა, რომ ის შექმნილიყო თავისუფალ საერთაშორისო ქალაქათ, მის ირგვლივ ნეიტრალურ ზონით, რათა იგი ყოფილიყო თავისუფალი პორტი საქართველოსთვის, აზერბეიჯანისთვის და სომხეთისთვის, იმ გარანტიით რომ შესაძლებელი ყოფილიყო თავისუფალი ვაჭრობა ნავთით, რომელიც გაიგზავნებოდა ბათუმზე აღმოსავლეთ ევროპის საზღვაო გზებით. მაგრამ ეხლა, მგონი, საბჭო დაუბრუნდა პროექტს, რომლითაც ბათუმი დარჩება საქართველოს იმ გარანტიით, რომ შესაძლებელი იქნება თავისუფალი ვაჭრობა სხვა ერთათვის, რომელთაც არა აქვთ გასასვლელი გზა ზღვაზე.

უეჭველია, საბოლოოდ გადაწყვეტა ამ საკითხისა, როგორც სხვა კითხვებისა, რომლებზედაც გარეშე საქმეთა მინისტრთა საბჭოს არა აქვს მტკიცე და ერთსულოვანი შეხედულება მიღებული იქნება სან-რემოს კონფერენციაზე, რომელზედაც მთავრობათა წარმომადგენელნი შეიკრიბებიან 10 ან 12 აპრილს და შეჰკრავენ ზავს ოსმალეთთან.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს.

საქართველოს მთავრ. თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ შემდეგი დეპეშა მიიღო ნუხა-არეშის სათვისტომოს საბჭოს პრეზიდიუმისგან: „ნუხის მაზრის სამ სოფელ ვართაშენი, ჯალუთა, ნიჯა და ქ. ნუხაში დარჩენილ სომეხ მცხოვრებლებმა დიდი ხანია რაც ადერბაიჯანს თავისი ერთგულება და დამორჩილება გამოუცხადეს. ისინი გათქვეფილნი იყვნენ მუსულმანებში, არამც თუ საშიშ არ იყვნენ მათთვის, არამედ არა ლოიალობის იჭვის საბაბსაც ვერ მისცემდნენ მათ. ისინი ითმენდნენ შემაძრეწუნებელ აუტანელ შეურაცხყოფას, როგორც ქალების წაყვანა, ძარცვა, განადგურება და სხვა. ეხლა ადერბაიჯანის ბრძოლებმა მთავრობის აგენტების თვალწინ, სრულიად ამოხოცეს ხსენებულ მაზრებში დარჩენილი სომხები. უდანაშაულო მშვიდობიან ხალხისგან ადერბეიჯანის ბრბოების მიერ დანთხეულმა სისხლმა არ შეიძლება არ შეაძრწუნოს შეუბრალებელი გულიც კი. ეს ამბები გვავალებს ნუხა-არეშის სათვისტომოს მოგმართო თქვენ თხოვნით, რათა აღიმაღლოთ თქვენი ავტორიტეტული ხმა ადერბეიჯანში მცხოვრებ სომეხთა გაჟლეტის წინააღმდეგ. ამასთან ერთად სათვისტომო ენერგიულ პროტესტს აცხადებს ადერბეიჯანის ძალების ასეთი მოქმედების წინააღმდეგ, რომლებიც სისტემატიურად ელეტენ მშვიდობიან მცხოვრებთ. გთხოვთ მიიღოთ ენერგიული ზომები ადერბეიჯანის ძალების ასეთ მოქმედების წინაალმდეგ, რომელიც ცეცხლის განადგურებით ემუქრება ამიერ-კავკასიას“.

უცხოეთი

ბონარ ლოუს და მილერანის დეკლარაცია.

ბონარ ლოუ თემთა პალატაში და მილერანი დეპუტატთა პალატაში გააკეთებენ მოხსენებებს, სადაც ისინი შეეხებიან მოკავშირე სახელმწიფოებთან დიპლომატიურ ურთიერთობის საკითხს.

სენ-რემოს კონფერენცია.

სენ-რემოს კონფერენციაზე დასასწრებლად მილერანი გაემგზავრება აპრილის 18-ს. ნიტის განცხადების მიხედვით კონფერენცია გაარჩევს: ფიუმეს და ვერსალის ხელშეკრულობის საკითხებს.

პოლონეთი და საბჭოთა რუსეთი.

ჩიჩერინს მოსკოვიდან ვარშავაში რადიოთი უცნობინებია პოლონეთისთვის, რომ საბჭოთა რუსეთი თანახმა არ ყოფილა პოლონეთის ზავის პირობებზე. ჩიჩერინი პოლონეთს ურჩევს, რომ მოიწვიონ კონფერენცია მოსკოვში ან ვარშავაში და გამოარკვიოს ზავის საკითხი. პრესსა პესსიმისტიურად უყურებს საბჭოთა რუსეთის და პოლონეთის შეთანხმების საკითხს.

გენერ. რომანოვსკის მკვლელობა.

კონსტანტინოპოლიდან იტყობინებიან, რომ გენერ. რომანოვსკისთვის რუსეთის საელჩოში შესვლის დროს რევოლვერი უსროლიათ და იქვე მოუკლავთ.

მდგომარეობა კავკავში.

კავკავში პურის ფასმა ძალიან ააწია, სამაგიეროდ ხორცის ნიხრს კი შესამჩნევად დააკლდა ფასი. გაზეთები „სვობოდნი ტერეკი“, „რევოლიუციონნაია იზვესტია“ დახურეს. გამოდის მხოლოდ გაზეთი „კომმუნისტ“-ი. მატარებლები პეტროვსკისკენ დაიარება სადგ. გუდერმესამდის. მინერალ წყლებისკენ გზა გაფუჭებულია. მიღებულია ზომები მის აღსადგენად. ქალაქში შევიდნენ საბჭოთა რუსეთის არმიის ნაწილები კლუევის ხელმძღვანელობით. კავკავში ამ ჟამად იმყოფებიან აგრეთვე გიკალოს არმიის ნაწილები, თვით გიკალო კი უნდა იმყოფებოდეს საჩეჩნეთში ან დაღესტანში.

ბოლშევიკების ამბოხება სევასტოპოლში.

მარტის 23-ს 100-მდე ბოლშევიკი დაეცა სევასტოპოლის სადგურს, მაგრამ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ გარეკა ისინი და მათი ბელადები დაატუსაღა.

ენვერ-ფაშა და მოკავშირენი.

გაზ. „ტაიმსი“-ს გადმოცემით ენვერ-ფაშას ცდა, რომ ანტანტასთან დაიჭიროს მტკიცე ურთიერთობა—უქმად ჩაივლის.

ჰუნგრეთის საგზ. მინისტრის ფრიდრიხის დაჭრა.

ბუდაპეშტიდან იტყობინებიან, რომ იქ სამხედრო მინისტრს ფრიდრიხს დასხმიან ვიღაცა უცნობი პირები და მძიმედ დაუჭრიათ.

შარლ ჟიდი ვერსალის ხელშეკრულების შესახებ.

შარლ ჟიდი ვერსალის ხელშეკრულების გადახედვას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ყველა პოლიტიკური წრეები ამის წინააღმდეგ არიან დარაზმულნი. შარლ ჟიდს ციურიხის ერთ-ერთ გაზეთის თანამშრომლისთვის გადაუცია, რომ ის თავიდანვე მოითხოვდა მოკავშირეთა სახელმწიფოებთან საფრანგეთს მტკიცე ურთიერთობა დაემყარებინა. შარლ ჟიდი წინააღმდეგია იმის, რომ გერმანიას მეტად სასტიკად ეპყრობიან მოკავშირეები. ასეთი მოპყრობა ეკონომიურად უკან დასწევს არამც თუ მარტო გერმანიას, არამედ თვით მოკავშირე სახელმწიფოებსაც. არც ის მიაჩნია შარლ ჟიდს სამართლიანად რომ გერმანიას ართმევენ ბევრ კალონიებს. მას უნდა დაუბრუნდეს აფრიკის ზოგიერთი ნაწილები მაინც. შარლ ჟიდის აზრით ხალხთა ლიგა უფრო კარგა გარდასწყვეტავს კალონიების საკითხს.

თავ. ლვოვის მომხრეთა პროტესტი.

თავ. ლვოვის პოლიტიკის მორწმუნე პირებს კონოვალოვს, მილიუკოვს, სავინკოვს და სმირნოვს მოკავშირეთა სახელმწიფოების პრემიერებისთვის მიუმართნიათ პროტესტით, სადაც გამოთქმული ყოფილა, რომ რუსეთის ხალხი თავის დღეში არ გაჰყვება ბალშევიკების ბოლიტიკას და მოკავშირეთა თანაგრძნობა ბალშევიკებისადმი—ეს დანაშაულად ჩაითვლება.

დეპეშები

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

მოსკოვი ც. ა. კ. ბ. ბიულეტენი.

გერმანიიდან. ნაუენი 11 აპრილს. რურის ოლქში წითელი არმიელ მუშების განიარაღებას შეუდგნენ. განიარაღება ნელა მიმდინარეობს. ხმები აფეთქებისა და დანგრევათა შესახებ გადიდებულია. მაღაროები ხელუხლებელია. რურის ოლქში, შესაძლებელია რომ მღელვარება კვლავ დაიწყოს. მუშები საჯაროთ აცხადებენ, რომ ბრძოლის შეწყვეტა ეს შესვენება არისო.

ხარკოვი. 9 აპრილს, ბერლინის მიდამოებში, რიტერგოლში კომუნისტებმა საბჭოთა რესპუბლიკა აღიარეს და ამ გვარათ ბერლინისათვის შექმნეს სერიოზული მუქარა, რადგანაც იქ იმყოფება მნიშვნელოვანი ელექტრონის სადგური.

სტოკჰოლმი. 10 აპრილს, შვედელმა ხის მკეთებელმა მეჭარხნეებმა გამოაცხადეს ლოკაუტი და 1100 მუშას სამუშაოზე უარი უთხრეს.

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა. საბჭოთა მთავრობას მოსთხოვა გადაჭრილი პასუხი იმის შესახებ იცნობს თუ არა საბჭოთა მთავრობა ქალაქებს ვილნოსა და გროდნოს ლიტვურ ქალაქებათ. ლიტვურ დამოუკიდებლობის საკითხი დადებითად უნდა გადასწყდეს საზავო მოლაპარაკების დაწყებამდი. ამაზე საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა უპასუხა, რომ საბჭოთა მთავრობა აღიარებს რა ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას ლიტვის ერის მიმართ გამორიცხვას აკეთებს. ლიტვის დამოუკიდებლობის პრინციპიალური აღიარება პერიოდულათ უნდა ყალიბდებოდეს ფორმაში ხელშეკრულობამდის, რომელიც საზავო მოლაპარაკების შემდეგ დაიდება. ლიტვის საზღვრებისა და აგრეთვე სხვა და სხვა ქალაქების ლიტვურათ ცნობის საკითხი გადაწყვეტილი იქნება თვით ხალხის ადგილობრივი შემადგენლობით. ჩიჩერინი თანახმაა განიხილოს ლიტვის წინადადება საზავო მოლაპარაკების ადგილის შესახებ.

მოსკოვი, 14. პროფ. კავშირთა ყრილობის ანგარიშში „პრავდა“ სწერს: ამ ყრილობამ შეადუღა პროლეტარიატი მის კლასიურ კომუნისტურ პარტიათა სამეურნეო პოლიტიკის შესახებ. ამ ყრილობამ დაადგინა იმ ტეზისების მოწონება, რომლებიც რ. კ. პ. ყრილობამ მიიღო და პროფ. კავშირებს მიანდო ხელმძღვანელობა ამ ტეზისებით, როგორც ერთად ერთი დირექტივით, რომელსაც შეუძლია საბჭოთა რუსეთი გამოიყვანოს მეტად მძიმე ეკონმიურ მდგომარეობიდან.

რადგანაც უმთავრესი ყურადღება მიპყრობილია შრომის ფრონტზე დ. ც. ა. კ. პრეზიდიუმმა დააადგინა, რომ პირველი მაისის დღესასწაული გადააქციოს სრულიად რუსეთის „სუბოტნიკათ“. სუბოტნიკი უნდა წარმოადგენდეს მასიურ კოლექტიურ მუშაობას, რომელიც უნდა გაგრძელდეს არა ნაკლებ ექვსი საათისა. პირველი მაისის სუბოტნიკის პროგრამის გამომუშავების დროს უნდა დავისახოთ სამუშაო, რომელიც შეიძლება მასიური შრომით აღსრულდეს და რომელსაც საერთო სასარგებლო მნიშვნელობა ექნება და რომელიც კომუნისტურ შრომის მოსაგონარი იმნება მაგალ. ხიდის აშენება, ან საფუძველის ჩაყრა. გაკეთება ვიწრო ხაზიან რკინის გზისა, გზებისა, საფუძველის ჩაყრა საავადმყოფოების, სახალხო სახლისა სკოლებისა, სასადილოებისა და სხვა საზოგადო დაწესებულებისა. პირველ მაისს დაწყებული საქმე შეიძლება გაგრძელებულ იქნეს სხვა სუბოტნიკებში, ან და ჩვეულებრივი წესით დაწყებულ საქმეს დაერქვას პირველი მაისის სახელი მაგალითად „პირველი მაისის ხიდი“. სუბოტნიკებში უნდა ჩათრეულ იქნას სოფლისა და ქალაქის მცხოვრებთა ფართო მასა. ადგილობრივ უნდა გაიგზავნონ ინსტრუქციები და საორგანიზაციო ძალები, უნდა მიაწოდონ ყოველგვარი მასალები, საჭირო ინსტრუმენტები. შრომის გეგმა დაწვრილებით დამუშავებული და გატარებული უნდა იქნეს ცხოვრებაში. უნდა შემოწმდეს ის, თუ რამდენათ მომზადებული არის ადგილობრივი ორგანოები მუშა ძალის გამოსაყენებლათ. შრომის კომისრებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საბჭოთა მოსამსახურეთა სუბოტნიკებში ჩათრევას. სასურველია სუბოტნიკები ჩატარებულ იქნეს კონცერტებით, ხორებით და ორკესტრებით, რომელნიც სარევოლიუციო ჰიმნებს შეასრულებენ. ბავშვებისათვის უნდა მოეწყოს დღესასწაული, მოზრდილი ბავშვები კი სასურველია მიწვეულ იქნენ იოლ სამუშაოზე, რომელსაც დღესასწაულებრივი ხასიათი ექნება. მაგალითად ხეების დასარგავათ, საბავშვო ბაღის მოსაწყობათ და სხვა. საჭიროა მოეწყოს მფრინავი ინსპექცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ტეხნიკურათ მომზადებული პირები; ამ ინსპექციამ მუშაობის განმავლობაში თვალყური უნდა ადევნოს მუშა ძალის გამოყენებას. თუ საბჭოთა ორგანოების მიერ რაიმე დაუდევრობა და უყურადღებობა აღმოჩნდა, იმ შემთხვევაში დამნაშავეთა სამართალში მისაცემად ოქმები უნდა იქნეს შედგენილი.

ჩელიაბინსკი, აპრ. 3. სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილებამ ჩელიაბინსკში პოლიტეხნიკუმი გახსნა.

ფინეთთან საზავო მოლაპარაკება

მოსკოვი, აპრ. 15. მოლაპარაკება დაიწყო საბჭოთა რუსეთსა და ფინეთს შორის. მოლაპარაკე ქვეყნების წარმომადგენლები შეიკრიბენ სადგ. ბელოოსტროვის ახლო დაბა რაიანოკში.

სამხრეთში აღმოაჩინეს დენიკინის მთავრობის და ბურჟუაზიის მტაცებლობა. მდიდრები მილიონებს იგებდენ არ არსებულ საქონლისათვის დახმარების სახით, დენიკინის მთავრობას კი ფული არ ჰქონდა, რომ მოსამსახურეთათვის ჯამაგირი მიეცათ. საბჭოთა მთავრობამ ფულის დარჩენილი ნაწილი 140 მილიონი მანეთი მიიღო.

პოლონეთის ლეგიონერები ჩვენ მიერ დატოვებულ დაბებში ყოველივეს მხეცურად ანადგურებენ.

ყუბანის რადის წევრებმა, რომელნიც ყუბანის ხელში ჩაგდების შემდეგ იქ დარჩენ, მოწოდებით მიმართეს მცხოვრებთ. მოწოდებაში ისინი ჰკიცხავენ დენიკინს და თავის ამხანაგებს, რომლებმაც მას მხარი დაუჭირეს. წინადადებას აძლევენ ყაზახთა მცხოვრებთ აღიარონ საბჭოთა მთავრობა. სტანიცებში, აულებში და მთელ ყუბანში საბჭოთა დაწესებულებებს აწყობენ. წითელ ჯარს პურ-მარილით ხვდებიან, რკინის გზის სახელოსნოები გაცხარებული მუშაობენ. კონსტანტინეპოლში აუარებელმა რუს ლტოლვილებმა მოიყარა თავი. გააძლიერეს მათზე თვალყურის დევნება. ეშინიანთ მათ შორის ბალშევიკები არ იყვენ. ეჭვით ‖ ააპატიმრეს 300 კაცი. ბესარაბიაში სოციალისტურმა პარტიამ მუშაობა გააძლიერა. მთავრობამ კრებები აკრძალა. მუშებმა ამაზე გაფიცვით უპასუხეს. მთავრობა იძულებული შეიქნა დაეთმო. სომხეთს თავს დაესხა ადერბეიჯანის ჯარი. საქართველოს მთავრობამ მათ წინადადება მისცა, შუამდგომლობისა. — ინგლისელები იძულებულნი არიან ინდოეთის საზღვარზე აჯანყებულებს ებრძოლონ. ინგლისის ჯარები სწვავენ მთელ სოფლებს, ანა, დგურებენ პურსა და შინაურ საქონელს და მცხოვრებთ დიდ კონტრობუციას ადებენ. პოლონეთში 250 ათასზე მეტი პარტახტიანი სახადით ავათმყოფი იმყოფება. სიკვდილის შემთხვევა დიდია. ბოლგარეთში სახალხო ყრილობის არჩევნებში კომუნისტებმა ბევრი ადგილი მიიღეს.—გერმანიაში მოელიან ახალ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლების ცდას, ისეთს, როგორც ეს ბერლინში მოხდა. ამ ჟამად გამოსვლას აპირებს ბავარია სამოქალაქო გვარდიის დაშლის გამო. ბავარიელები გვარდიის გამო პროტესტს აცხადებენ და გერმანიიდან გამოყოფით იმუქრებიან. მიუნხენში ამ მოძრაობისათვის შეირაღებული დახმარება მზადდება. ხმა მაღლა აღიარებენ მონარქიულ ლოზუნგებს.

ფრანგული პრესა.

დეპუტატთა პალატაში სამშაბათს მილიერანმა მოხსენება გააკეთა საგარეო პოლიტიკაში უკანასკნელ ამბების შესახებ. საგსაქმეთა მინისტრმა მოიყვანა გერმანიასთან მოლაპარაკების ისტორიარურის ოლქში გერმანიის ჯარის შეყვანის გამო. მან აღნიშნა ფართე მნიშვნელობა ხელშეკრულების იმ მუხლებისა, რომელებიც გერმანელებმა დაარღვიეს. აღნიშნა ის, თუ როგორ შეხედა საფრანგეთის მთავრობამ, მართლა მნიშვნელოვანი იყო ის მიზეზები, თუ არა, რომელიც გერმანიამ მოიყვანა რურის საქმეებში ჩასარევათ.

სხვა და სხვა

✦ ახლციხიდან სამხედრო მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო: „ახალციხის გარნიზონის აფიცრები შეკრეფილნი ბრწყინვალე აღდგომის დღეს ამხანაგურ მაგიდის გარშემო, ღრმა პატივისცემით იგონებენ საქართველოს საამაყო მთავრობას საერთოდ და კერძოდ კი ქართველი ერის ჭკუის ძარღვს, მის ბრძენ ხელმძღვანელს ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიას. ოფიცრებს სწამთ რომ მისმა ბრძნულმა პოლიტიკამ მიიყვანა ტანჯული სამშობლო აღსავლის კარებამდე და იგი, რწმენა იძულებულს ხდიდს ამ ოფიცრობას ჯეროვანათ დააფასოს ამ კაცის ღვაწლი. ვსვამთ რა მის სადღეგრძელოს განსაკუთრებული პატივისცემით, ოფიცრების სურვილის თანახმად გთხოვთ გადასცეთ მას ჩვენი მისდამი კეთილი სურვილები და დაარწმუნოთ იგი, რომ ქართველი ოფიცრები და ჯარის კაცები იმდენად არიან გამსჭვალულნი სამშობლოსადმი სიყვარულით, რომ იგინი მუდამ მზად არიან ზვარაკად შესწირონ თავი სამშობლოს წმინდა საკურთხეველზე.—გენერალი წულუკიძე“

✦ ბათუმის ოლქში მყოფ საქართველოს ჯარების სარდალი გენ. მდივანი, პოლკ. მელიქიშვილის თანხლებით 14 აპრილს ტფილისში ჩამოვიდა.

20 აპრილს განახლდება დამფუძნებელ კრების სხდომები.

რესპუბლიკის ყველა სასწავლებლებში მეცადინეობა დაიწყება 19 აპრილიდან.

დამფუძნებელ კრების საგზაო კომისიამ მოიწონა პროექტი, რომლის ძალითაც დამფ. კრ. წევრებს უფლება ეძლევათ რესპუბლიკის რკინის გზაზე უფასოდ მოგზაურობისა.

ტფილისში მყოფი პოლონეთის წარმომადგენელი ვ. ოსტროვსკი დაინიშნა პოლონეთის რესპუბლიკას საგანგებო მისიის წევრად, რომელსაც მინდობილი აქვს საგანგებო საქმეთა გამგებლობა.

გაზეთი „საქართველო“ ეს მესამე დღეა რაც არ გამოსულა.

ახალციხის ფრონტზე მომხდარი ამბების და ახალციხის დატოვების შესახებ საგანგებო სამხედრო საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარე ი. კობიაშვილი მოახსენებს იუსტიციის მინისტრს, რომ საგანგებო სამხედრო საგამომძიებლო კომისია შემდგარი მის თავმჯდომარეობით ღენერალ არჯევანიძის და სამხედრო მსაჯულის მონასელიძის წევრობით უკვე შეუდგა მუშაობას ამა წლის მარტის 24-ს.

კვირას, აპრილის 18, სერგეი გოროდეცკი წაიკითხავს მოხსენებას: „ახალი ქართული პოეზია“. (გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ლელი ჯაფარიძე, კოლია ნადირაძე). ბილეთები იყიდება „ქიმერიონში“.

სახელმწიფო დაწესებულებათა

მოსამსახურეების საჭიროებისათვის მომხმარებელ დუქნის დაარსება.

1920 წლის მარტის 7-ს შესდგა მთავრობის საქმეთა მმართველის თავმჯდომარეობით საუწყებათაშორისო წარმომადგენლების თათბირი, რომელსაც დაესწრენ საქმეთა მმართველობის, შინაგან საქმეთა სამინისტროსი, სენატის და სამხედრო სამინისტროს წარმომადგენლები და მთავრობის სახლის გამგე.

თავმჯდომარე კ. ი. ჯაფარიძე აცნობს დამსწრე წარმომადგენლებს, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებიან ამ ჟამად—ეკონომიურად სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურენი და აუცილებელ საჭიროებად აღიარებს, რომ დაარსებულ იქმნას მოსამსახურეთა კოოპერატივი, რომლის მიზანი იქნება მიაწოდოს მოსამსახურეებს იაფ ფასებში სურსათ-სანოვაგე და სხვა აუცილებელი საჭირო საქონელი. მთავრობის სახლის გამგე ფ. მგელაძე საჭიროთ თვლის გახსნილ იქმნას ერთი დუქანი, სადაც შესაძლებელი გახდება პურის დარიგება და, მისი აზრით, მთავრობის სახლში არსებული ფურნე, რომელსაც დასჭირდება შეკეთება, შეიძლება გამოყენებულ იქმნას მოსამსახურეთათვის პურის საცხობად, რომელიც იაფად დაუჯდებათ მოსამსახურეებს.

შემდეგ ამორჩეულ იქნა კომისია, რომელმაც შეიმუშავა შემდეგი სქემატიური პროექტი: 1. მთავრობის სახლში, სადაც მოთავსებული არის თითქმის ყველა სამინისტროები, მოეწყოს სასურსათო მაღაზია, რომელსაც მიზნათ ექნება უშოვოს თავის წევრებს აუცილებელი საჭირო სანოვაგე-სურსათი, ფართლეულობა, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საცვალი და სხვა, რაც შეიძლება ნაკლებ ფასებში.

2. აღნიშნულ მიზნის განსახორციელებლად მაღაზიას შეუძლიან მოაწყოს ფურნე პურის გამოსაცხობად, გამართოს საწყობი საჭირო საგნებისა; მოურიგდეს სავაჭრო ფირმებს და დუქნების პატრონებს, რათა წევრებს საქონელი ეთმობოდეს დაკლებულ ფასებში. თვით მიიღოს კოოპერატივებიდან წიგნაკებით სურსათი და დაურიგოს თავის წევრებს.

3. მაღაზიას განაგებს ზედამხედველი კომიტეტი სამი წევრისაგან შემდგარი და არჩეული სამინისტროების წარმომადგენელთა კრებისაგან. კრება ირჩევს აგრეთვე სამ კანდიდატს.

4. ზედამხედველი კომიტეტის წევრები ირჩევიან ერთი წლით.

5. თუ რაიმე გარემოების გამო რომელიმე ზედამხედველი კომიტეტის წევრი თანამდებობის ასრულებას ვერ შესძლებს და კომიტეტიდან გამოვა, მის მაგივრად არჩეულმა კანდიდატმა უნდა მიიღოს ზედამხედველი კომიტეტის წევრის თანამდებობა.

6. ზედამხედველი კომიტეტი აბარებს მაღაზიას სანდო კერძო პირს და ყოველ თვის ბოლოს უკეთებს ფაქტიურ რევიზიას მაღაზიის თანხებს და საქონელს, ინახავს ფულს, ადგენს შემოსავალ გასავლის აღრიცხვას და მოქმედების გეგმას.

7. მაღაზიის გამგეს ეძლევა ჯილდო.

8. ზედამხედველ კომიტეტს შეუძლიან პირობების, ან ხელშეკრულებების დადება თანამდედობის პირებთან, ვაჭრებთან და სამმართველოებთან და კანონიერი აქტების შესრულება.

9. მაღაზიას აქვს თავისი ბეჭედი წარწერით: „რესპუბლიკის სამინისტროების მოსამსახურეთა სასურსათო მაღაზია“.

10. მაღაზიის წევრათ შეუძლიან იქმნეს სამინისტროების ყველა მოსამსახურე.

11. საწევრო გადასახადია 100 მანეთი.

12. როდესაც რომელიმე წევრი მოისურვებს მაღაზიიდან გასვლას, მას უბრუნდება საწევრო გადასახიდი.

13. სამინისტროების წარმომადგენელთა კრება იკრიბება წელიწადში ერთხელ.

14. საგანგებო კრება იკრიბება ზედამხედველი კომიტეტეს მოწვევათ, წევრების ½ განცხადებით და მთავრობის ბრძანებით.

15. მაღაზიის თანხას შეადგენს საწევრო გადასახადი, კერძო სესხი და მთავრობის დახმარება.

ეს პროექტი კომისიამ შემდეგი განმარტებითი ბარათით გაუგზავნა ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს იმ დროს, როდესაც მიწათმოქმედების და ქარხნის ნაწარმოებით ავსილი იყო სარდაფ-საწყობები და იმ ნაწარმოების მოწოდება ბევრად აღემატებოდა მოთხოვნას, თვით იმ დროსაც-კი მიუხედავათ ყოველგვარ საქონლის სიუხვისა, მომხმარებელი მაინც განიცდიდა გაჭირვებას. მიზეზი ის იყო, რომ მწარმოებელთა და დამხმარებელთა შორის მოქმედებდა მთელი რიგი სხვა და სხვა შუამავალთა, რის გამო საქონლის ფასი მაღლა იწევდა და საშუალო შეძლების მომხმარებელთათვისაც-კი მძიმე და აუტანელი ხდებოდა.

გაჭირვებისაგან სახსნელად დაარსებულმა კოოპერატივებმა ვერ ააცდინეს მომხმარებელს გაჭირვება, რადგან მრავალ-წევრიანი კოოპერატივი გამოდგა მძიმე აპარატი და მისი გამგეობა, პირად მამოქმედებელი სტიმულს მოკლებული ვერ იჩენს უნარს, რომელიც ახასიათებს ყოველ კერძო ვაჭარს.

ჩვენმა კოოპერატივებმა ვერ გამოიჩინეს საჭირო და შესაფერი უნარი და ამის გამო ან სულ არა აქვთ არაფერი, ან შოულობენ ძლიერ ცოტას, რაც წევრთა მეოთხედსაც-კი არა ყოფნის; ამასთანავე კოოპერატივებში საქონლის განაწილების ტეხნიკა ძლიერ გართულებული და სამძიმოა.

ამის გამო ბევრი ჩვენგანი გამოსთქვამს სურვილს, რომ შექმნილ იქმნას მხოლოდ ჩვენთვის ადვილ-მოძრავი აპარატი, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს მიღება და განაწილება იმისა, რასაც მთავრობა გვაძლევს და თან ხელმისაწვდომ ფასებში შეიძინოს და განუწყვეტლად მოგვაწოდოს ჩვენი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საქონელი.

ამიტომ გიგზავნით ამასთანავე ერთად წესდებას და გთხოვთ გააცნოთ ის თქვენს თანამშრომლებს, რათა მოსამსახურეთა საერთო კრებაზე, რომლის მოწვევა განზრახულია მოკლე ხანში, ყველა მოსამსახურეს შეეძლოს თავისი აზრი გამოსთქვას ზემო აღნიშნულ საქმის შესახებ.

მუნიციპალური ცხოვრება.

ზესტაფონის ქალაქის საბჭოში.

ზომები ხალხის ჯანმრთელობის დასაცავად.

1) სანოვაგით მოვაჭრენი: ყასბები, მეფურნეები, გასტრონომიული მაღაზიები, სასტუმროების, ტრაქტირების და სამიკიტნოების პატრონები ვალდებულნი არიან თავიანთ სავაჭროებში დაიცვან სიწმინდე, სანოვაგეზე უნდა იყოს შენახული ცხრილებიან ყუთებში ან მათზე უნდა იყოს გადაფარებული თეთრი წმინდა ტილო სამზარეულოს ჭურჭლეულობა უნდა იყოს მოკალული, სუფრის მოწყობილება (საინები, ჭიქები, ხელს სახოცები და სუფრის საფარი) უნდა იყოს სუფთა და გარეცხილი;

2) სანოვაგით მოვაჭრენი ვალდებულნი არიან იქონიონ ახალი და არა გაფუჭებული სანოვაგე და სუფთად აკეთონ საჭმელები;

3) ყოველივე გაფუჭებული სანოვაგე, რომელიც საჭმელად არ გამოდგება, უნდა მაშინათვე დაიწვას;

4) საყასბოებში თაროები, სუფრები, კუნძები და სხვა უნდა იფხიკებოდეს და ირეცხებოდეს ყოველ დღე;

5) ხორცზე, როგორც საყასბოში, აგრეთვე სასაკლაოდან მისი გადმოტანის დროს უნდა იყოს გადაფარებული წმინდა ტილო;

6) არ შეიძლება რომ ხორცი გამოკიდული იყოს გარეთ. ხორცი უნდა ეწყოს შიგნით წმანდა სუფრაზე, ან უნდა იყოს ჩამოკიდული რკინის წმინდა კავებზე;

7) ხორცის ასაწონი დანები, ნაჯახები და სხვა ყოველდღე უნდა იწმინდებოდეს; გამყიდველი ვალდებულია იქონიოს წმინდა თეთრი ფეშტემალი (ხალათი);

8) საყასბოებში და თევზის სავაჭროებში აუცილებლათ უნდა იყოს თუთიით (ცინკით) ამოკრული ყუთი, სადაც უნდა ჩაიყაროს სისხლი და უვარგისი ნაჭრები, რომელიც შემდეგ გატანილი უნდა იქნეს;

9) სახლის პატრონები, მდგმურები, სასტუმროების, ტრაქტირების და სხვა ამგვართა პატრონები ვალდებული არიან დაუყონებლივ აცნობონ ქალაქის გამგეობას თუ იმათ სახლში ვინმე გაუხდებათ ავათ რაიმე გადამდები სენით, რომ თავის დროზე იქნეს მიღებული სათანადო ზომები. იმ შენობებში, სადაც ადამიანები სენით ავათმყოფი იწვა კარები და ფანჯრები რვა დღის განმავლობაში ღია უნდა იყოს და შემდეგ უნდა გაუკეთდეს დეზინფექცია ექიმის ზედამხედველობით.

10) საცვლები, საწოლი და სხვა ნივთები, რომლებიც ავათმყოფს ჰქონდა სახმარებლათ, უნდა იქნეს გარეცხილი და უნდა გაუკეთდეს დეზინფექცია, უამისოთ სასტიკათ აკრძალულია მათი სხვებისთვის სახმარებლათ მიეცემა.

11) ყველა სასტუმროები, ტრაქტირები, და სამიკიტნოები ყოველ დღე აუცილებლათ უნდა იწმინდებოდეს.

12) ბოჭკები და სხვა წყლის შესანახი ჭურჭლები უნდა იქონიონ ყოველთვის წმინდათ და უნდა იყოს დახურული, რომ შიგ მტვერი არ ჩავარდეს.

ამ სავალდებულო დადგენილების რომელიმე მუხლის დარღვევისათვის დამრღვევი პირველ შემთხვევაში მიეცემა პასუხისგებაში თანახმათ 29, 55 და 102 მუხლისა (სისხლის სამართლის კავონისა (4 стат. о наказаніяхъ. Мир. Суд.) შემდეგში იქნება მიღებული ადმინისტრატიული ზომები.

შემდეგ საბჭომ ამოირჩია სასკოლო, სასურსათო, შრომის, ხელოვნების, საბინაო, საფინანსო და სხვა კომიტეტი.

განცხადებანი

დაკარგულია პასპორტი გიორგი თაზიას ძე სულაძის სახელზე, მიღებული ბარის (რაჭის მაზრა) საზოგადოების სამმართველოდან და მხარეულთა პროფ. კავშირის წევრობის. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.
687 3—2

დაიკარგა 1. პასპორტი № 215 მიღებული შორაპნის მაზრის სამმართველოდან 1910 წ. ივანე ყარამანის ძე გველესიანის სახელზე. 2. სამხედრო ბეგარისაგან თავისუფლების მოწმობა, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო საკრებულოდან ამავე პირის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვლება.
656 3—2

საქართ. რკინის გზების სამმართველო

1920 წ. 20 აპრილისათვის დღის 12 ს. კონკურენციაზე დახურულ ბარათებით იწვევს იმ პირთ, ვისაც სურთ იჯარით აიღონ ერთი წლის ვადით ბუფეტები, სავაჭრო კარავები და საპირფარეშონი შემდეგ სადგურებზე: **ახალ ხენაკეს, ხაჩერის** და **ძირულის** ბუფეტები ცივი საჭმელებით **ბგატალა** და **ზალვერის**; სავაჭრო კარავები: ხაშურის, ქუთაისის, შორაპნის, ტფილისის, ფოთი-ნავთსადგურის და საჩხერის; საპირფარეშონი და აგრეთვე სასადილო ვაგონებში ბათუმ-ტფილისის № 1 და 2 ჩქარ მატარებლებში. განცხადების შეტანა შეიძლება პირადათ და აგრეთვე ფოსტით: განცხადებას უნდა თან დაერთოს საწინდარის გადახდის კვიტანცია შემდეგნაირათ: ბუფეტებისთვის 1000 მან., კარავების და საპირფარეშოებისთვის 500 მან. და ვაგონ-რესტორანებს ბუფეტისთვის 10,000 მან. საწინდარის შეტანა შეიძლება სამართველოს მთავარ სალაროში, ან და რომელიმე სადგურის სალაროში. იმ შემთხვევაში თუ წინადადება მიღებული არ იქნება, საწინდარი უკანვე დაუბრუნდებათ. კონკურენციის დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება საექსპლოატაციო ნაწილში 10—2 საათამდე. სამმართველო უფლებას იტოვებს გასცეს აღნიშნული ბუფეტები არა უდიდეს ფასის მიხედვითაც.
414 3—3

ელექტრო-სადგურის „პულონის“ კანტორა

მოაგონებს თავის აბონენტებს, რომ ელექტროს ენერგიით სარგებლობისათვის ღირებული ფასი შეტანილი უნდა იქმნას კანტორაში არა უგვიანეს ყოფილი თვის 10 რიცხვისა—მათ მიერ ვინც „სჩოტჩიკებით“ სარგებლობენ. დანარჩენები კი ვალდებულნი არიან შემოიტანონ გადასახადი ყოველი თვის 20 რიცხვში, **ანგარიში არავის ვაუგზავნებ**, კანტორა მოთავსებულია ბებუთოვის ქუჩაზე № 48 და ღიაა დილით 9—2 საათამდე, საღამოს—5—7 სათ. აბონენტები, რომელნიც თავის დროზე ფულს არ გადაიხდიან, გამორიცხულნი იქნებიან.
688 1—1

სახლის პატრონთა საყურადღებოთ

ქალაქ ტფილისის თვითმართველობა ამით აუწყებს სახლის პატრონთ, რომ მათ ევალებათ არა უგვიანეს ამა წლის პირველ მაისისა დაასრულონ ძველი საბინაო დავთრების ახლებზე შეცვლა, ჩასწერონ ყველა მათ სახლში მცხოვრები მდგმურები სათანადო წარმოდგენილი მოწმობებით და წარუდგინონ შესამოწმებლად სამისამართო ბიუროს განყოფილებებში მყოფ ბარათების ბიმღებთ.
1—1431 ქ. ტფ. თვითმართველობა.

ქართველ მერძევეთა ამხანაგობის „განთიადის“ გამგეობა

ამით აუწყებს ამხანაგობის წევრებს, რომ კვირას, 18 აპრილს შუადღის 12 საათზე, ტფილისის პირველ კერძო ლომბარდში შესდგება ხელმეორედ მოწვეული **საზოგადო კრება**. განსახილველი საგნები: 1. საამხანაგო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შესახებ. 2. ანგარიშის და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. 3. მიმდინარე საქმეები. 4. გამგეობის წევრის, მისი კანდიდატის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა. კრება კანონიერათ ჩაითვლება, მიუხედავათ დამსწრე წევრთა რაოდენობისა.
691 1—1

ტ ფ ი ლ ი ს ი ს სასოფლო სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების

საგანგებო კრება დანიშნულია 2-რ მაის დილის 11 საათზე, ნაცვლად 14 აპრილს დანიშნულ საგანგებო კრებისა, რომელიც არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო; კრებამ უნდა ამოირჩიოს გამგეობის წევრი, ნაცვლად პ. ა. გოთუასი, რომელმაც სამსახურს თავი დაანება და ამასთანავე განხილული იქნება მოხსენება საზოგადოების წესდების § 91 შეცვლისა. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება მიუხედავათ დამსწრე წევრთა რაოდენობისა
434 2—1

მთავრობის საქმეთა მმართველობა

ამით საჩქაროდ იწვევს **მანქანაზე გადამწერ** გამოცდილ პირს. მოთხოვნელი მიიღება კონკურსით. თხოვნის შეტანა შეიძლება მთავრობის საქმეთა მმართველობაში (რუსთაველის ბრ. მრავრობის სახლი) დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.
682 3—2

გზათა დეპარტამენტი

აცხადებს ყველა დაინტერესებულ რესპუბლიკის სახაზინო, საერობო, ქალაქების და კერძო სამრეწველო წარმოებათა და პირთა საყურადღებოდ შემდეგს: ტყიბულის მაღაროებიდან ქვა-ნახშირის მისაღებად სამრეწველო დარგებმა, რომელნიც მუშაობენ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, უნდა წარმოადგინონ გზათა დეპარტამენტში მოწმობა—სახელმწიფო სამრეწველოებმა სათანადო სამინისტროებისაგან, კერძომ კი ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის, სამაზრო ერობების და ქალაქის თვითმართველობათაგან. მოწმობაში მტკიცედ უნდა იყოს აღნიშნული თვიური საჭიროება ქვა-ნახშირისა ამა თუ იმ სამრეწველოსათვის. კერძო პირი ანუ სამრეწველო, რომლებიც მუშაობენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეშე და მასთან გემები, რომელნიც სდგანან რესპუბლიკის ნავთსადგურებში, ღებულობენ ქვა-ნახშირს მომარაგების სამინისტროსაგან, რომელსაც იგინი მომართავენ სათანადო თხოვნით. კერძო პირებზე ქვა-ნახშირის გაყიდვა, როგორც რესპუბლიკის ფარგლებში, აგრეთვე მის გარეშე, ხდება მომარაგების სამინისტროს მიერ და ამ ხასიათის თხოვნები გზათა დეპარტამენტის მიერ განხილული არ იქნება.
432 3—1

ბლატონ სპირიდონის ძე კვანტალიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული სოფ. ნაგვაზეოს (სენაკის მაზრა) თემისაგან 1920 წელს და სამხედრო ტყვეობიდან დაბრუნების ნუსხა № 1 მიღებული სენაკის მაზრის სამხედრო უფროსისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 532 3—3

ოვანეზ კარაპეტის ძე კაპლანიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ოთხი ტალონი ასიგნობის, მიღებული ქალაქ ტფილისის თვითმართველობიდან № 3649—1.500 მ., № 3650—1.500 მ., № 3801—1.585 მ. 60 კ. და № 3468—1.500 მ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 677 3—2

მისაკ ეგიშის ძე შემოხიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საკუთარი "პრაჩეშნი" შესახვევში № 7 მდებარე სახლის ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 678 3—2

გვარდიელი პარმენ ფარსადანის ძე ისიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მეორე რაიონის გვარდიის შტაბიდან მიღებული წიგნაკი ვინტოვკის № 64168 და რევოლვერის № 26929 ნებართვით. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 675 3—2

ფასები მსოფლიო ბაზარზე თებერვალში 1920 წ.

საქონელი.	თვე და რიცხვი.	ბაზარი.	წონა და ვალიუტა.	ფასი სახელგარეთ ბაზრისა.	ფასი მანეთებში ფუდზედ.	შენიშვნა.
1. ხორბალი არგენტინისა	19 თებ.	ბუენოს-აირესი.	დოლარები-კვარტერზე.	14—50	288	
„ ამერიკისა	21 თებ.	ნიუ-ორკი.	ცენტები-ბუშელზე.	260	417	
„ „	8 თებ.	კონსტანტინეპოლი.	პიარტიები-ოკაზე.	14—16½	420—495	
2. ხორბლის ფქვილი	21 თებ.	ნიუ-ორკი.	ცენტები-ბარელზე.	1050	502	
„ „	15 თებ.	ლონდონი.	შილინგები-ტამარაზე.	44 მილ. 3 პენსი.	306	უკანასკნელი ფასები.
„ „	15 თებ.			46 მილ. 3 პენსი.	320	
3. ხორბლის პური 1 ხარისხისა	8 თებ.	კონსტანტინეპოლი.	პიასტრები-ოკაზე.	16	14,71	
„ „ 2 „	„	„		13	12	გირვანქაზე.
4. მაკარონი	8 თებ.	კონსტანტინეპოლი.	„	37—38	1110—1140	
5. სიმინდი არგენტინისა	19 თებ.	ბუენოს აირესი.	დოლარები-კვარტერზე.	6—45	126	
„ ამერიკისა	21 თებ.	ნიუ-ორკი.	ცენტები-ბუშელზე.	166¼	278	
„ მცირე აზიისა	8 თებ.	კონსტანტინეპოლი.	პიასტრები-ოკაზე.	6—6½	180—195	
„ ყარა ბიეგისა	8 თებ.	„	„	7	210	
6. ბრინჯი ახალი მოსავლიდან ბარმა	21 თებ.	ლონდონი.	შილინგები-ცენტნ.	60—65	871—946	
„ „ „ ბრუსისა	8 თებ.	კონსტანტინეპოლი.	იასტრები-ოკაზე.	45	1350	
„ „ „ ტოსიისა	„	„	„	44	1320	
„ „ „ ბაქოსი	„	„	„	30—32	900—900	
7. შაქარი თეთრი კუბისა	16 თებ.	ნიუ-ორკი.	ცენტები-გირვანქაზე.	9,15	937	ჩამოუტანლათ კუბიდან ფასები.
„ „ „	9 თებ.	„	„	12—12¾	1253—1323	ნიუ-ორკისა.
„ იავიდან და მავრიკიდან	21 თებ.	ლონდორი.	შილინგები-ცენტნ.	118½	1720	
„ კრისტალური ფხვნილი	8 თებ.	კონსტანტინეპოლი.	პიასტრები-ოკაზე.	51½—52	1545—1560	
„ პუდრა იავა	„	„	„	51½	1545	
„ დახერხილი	„	„	„	61—65	1830—1980	
თურმანი ჩვეულებრივი	16 თებ.	ლონდონი.	შილინგები და პენსები გირვ.	1 მილ. 2½ პ.—კგ.	1984—2052	
„ ცეილონისა	8 თებ.	კონსტანტინეპოლი.	პიასტრები-ოკაზე.	130—160	3900—4800	
„ „ 1 ხარისხის	„	„	„	180—200	5400—6000	
„ ჩინეთისა ჩვეულებრივი	„	„	„	120—125	3600—3750	
„ „ 1 ხარისხისა	„	„	„	130—140	3900—4200	
9. ყავა	20 თებ.	ლონდონი.	შილინგები-ცენტნ.	130	1400	მარტის თვის.
„ რიო 1 ხარისხისა	8 თებ.	კონსტანტინეპოლი.	პიასტრები-კვარტერ.	82—88	2460—2640	
„ „ 2 „	„	„	„	70—82	2100—2460	
10. ერბო ძროხისა	15 თებ.	ლონდონი.	შილინგები-ცენტნ.	304	4413	უკანასკნელი ფასები.
11. ქონი ღორისა გადამდნარი	7 თებ.	ჩიკაგო.	ცენტები-გირვანქაზე.	21,35	2026	
12. სელის მარცვალი არგენტინისა	20 თებ.	ლონდონი.	ხადაშილ.-ტონაზე.	48 სტ. 10 მილ.	104	
„ „ „	8 თებ.	კონსტანტინეპოლი.	პიასტრები-ოკაზე.	16—17	410	
13. სელის ზეთი	20 თებ.	ლონდონი.	შილინგები-ცენტი.	117¼	1704	
14. ბამბის მარცვალი	„	„	სტერლ.-ტონაზე.	30	435	
15. „ ზეთი	8 თებ.	კონსტანტინეპოლი.	პიასტრები-ოკაზე.	80	2400	
16. ღვინო	13 თებ.	მარსელი.	ფრანკები-ჰექტოლიტრ.	128—148	283,4—327,7	ვედროზე.
17. რომი მარტინიკა 54°	16 თებ.	ბორდო.	ფრანკები-ჰექტოლიტრზე.	710—717	1571—1588.	
„ გვანდელუპა 54°	„	„	„	675—683	1494—1512	
18. ნახშირი კარგი ხარისხისა	12 თებ.	ლონდონი.	შილინგი-ტონაზე.	115—120	83,5—87,1	} საექსპორტო.
„ უფრო მდარე ღირსებისა	„	„	„	90—97½	65,3—70,7	
19. კოკსი	20 თებ.	ინგლისი.	„	50½	36,65	შინა სახმარებლათ.
„	12/II 22/II	„	„	122½—140	88—102	ექსპორტისათვის.
20. თუჯი ჩამოსასხ.	22 თებ.	ნიუ-ორკი.	დოლარები და ცენტი ტონაზე.	47,18	200	
„ ჩამოსხმ.	23 თებ.	ინგლისი.	შილინგები-ტონაზე.	175—180	127—131	ექსპორტისათვის.
„ „	13 თებ.			240—280	174,2—181,4	
21. ფოლადი	13 თებ.	ინგლისი.	შილინგები-ტონაზე.	390—410	283—297	
„ პლიტებათ გემებისათვის	„	„	„	440—550	319—392	
22. სპილენძი ელექტროლიტური	20 თებ.	ლონდონი.	სტერლინგი-ტონაზე.	127	1843	
„ წითელი შტიკებათ	8 თებ.	კონსტანტინეპოლი.	პიასტრები-კილოზე.	36	1336	
23. კალა	20 თებ.	ლონდონი.	სტერლინგ.-ტონაზე.	401	5842	
„	8 თებ.	კონსტანტინეპოლი.	პიასტრები-ოკაზე.	200	6000	
24. ცინკი	20 თებ.	ლონდონი.	სტერლინგ.-ტონაზე.	61½	889	
„ გადაუმუშავებელი	8 თებ.	კონსტანტინეპოლი.	პიასტრები-ოკაზე.	12	360	
25. ტყვია	20 თებ.	ლონდონი.	სტერლინგები-ტონაზე.	53½	776	
„	8 თებ.	კონსტანტინეპოლი.	პიასტრები-ოკაზე.	15	450	
26. ნავთი	9 თებ.	ნიუ-ორკი.	დოლარ. და ცენტ.-100 მან.	23,50	222	
„ დაწმენდილი	„	„	„	26,75	253	
27. ჯუტი უმაღლესი ხარისხის	20 თებ.	ლონდონი.	სტერლ.-ტონაზე.	76	1103,22	
28. ბამბა	„	ნიუ-ორკი.	ცენტები-გირვანქაზე.	39	3701	
„ ამერიკისა	„	ლივერპული.	პენსები-გირვანქაზე.	31,76		
„ ეგვიპტესი	„	„	„	82	11223,75	
29. მატყლეული მატერია ინგლისური, მამაკაცისა	8 თებ.	კონსტანტინეპოლი.	ლირები-იარდზე.	3,25—10	731—2250	იარდზე.
მატყლეული მატერია ინგლისური დედაკაცისა	„	„	„	2—8	450—1800	
ქალალდი-აბრეშუმეული მამა-კაცის მატ.	„	„	„	1,5—3	338,5—675	
შალეული ფრანგული, დედა-კაცისა	„	„	„	3—8	575—1800	
ნარმა ამერ. ნაჭრებ. 40 ტ.	„	„	40 იარდზე.	13	2925	ნაჭერი.
მადეპალომი ინგლისური	„	„	40 იარდზე.	11—20	2475—4500	40 იარდი.
ზეფირი „	„	„	პიასტრები-მეტრზე.	25—45	56,25—101	
ფლანელი „	„	„	„	35—75	58,75—162	
30. ხე-ტყე ნაძვისა 2×4 დიუმ.	11 თებ.	ინგლისი.	სტერლინგები-სტანდარტ.	36—38	117,58—124,11	კვ. ვერშ. 12 არშინზე.
„ მაგარი ჯიშისა	„	„	„	100	327,27	„
„ ნაძვისა 3×9 დიუმ.	„	შვეცია.	„	38—40	124,11—130,9	„
„ „ რეიკები	„	„	„	31	101,45	„
„ „ 2×4 დიუმაზე	„	ფინლიანდია.	„	26	85,09	„
„ „ 7 დიუმი	„	„	„	29	97,45	„
„ „ 9 დიუმი	„	„	„	32½	106,36	„
31. ტყავი მელასი	7 თებ.	კონსტანტინეპოლი.	პიასტრები-წყვილში.	900—1000	2025—2475	წყვილზე
„ მგლისა	„	„	„	600—650	1350—1462,5	„
„ ბობიორისა	„	„	„	1600—2500	3600—5625	„
„ ტურასი	„	„	„	400	900	„
„ კატასი	„	„	„	200	450	„
„ კურდღლისა	„	„	პიასტრებ-ათასში-	4000—5000	9000—10125	ათას ცალზე.
32. ფრახტი-არგენტინიდან კოსტანტინოპოლამდე პურზე	9 თებ.	ბუენოს-აირესი.	შილინგები-ტონაზე.	180	130,63	
ფრახტი ინდოეთიდან-ინგლისში.	„	„	„	120	87,09	

შენიშვნა: უცხოეთის ვალიუტის კურსები ანგარიშისათვის მიღებულია შემდეგი: დოლარი—260 მან., სტერლინგი—900 მან., ფრანგული ფრანკები—18 მან., ოსმალური ლირა—225 მან.

413 1—1

რედაქტორის მოვალ. აღმ. **გრიგოლ მაჭავარიანი.**

სახელმწიფო სტამბა